

II ტურის დავალებები არაქართულენოვანი სკოლების X-XII კლასელთათვის

ოლიმპიადის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად საჭიროა ორივე დავალების შესრულება.

თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 15. დავალებების შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი.

დავალება N1

თარგმნეთ მშობლიურიდან ქართულ ენაზე:

Xalq diplomatiyası

Gürcü yazıçısı Quram Odişaria gürcülər və abxazlar arasında baş verən konfliktdən sonra Tiflisə köçdü yaşamağa, lakin abxaz dostu Batal Kobaxia ilə əlaqəsini kəsməyib. Konfliktdə olan milləti bərişdirmaq yolunu onlar birlikdə axtarırdılar. Onlar ədəbi-publisistik almanaxı nəşr etmək qərarına gəldilər, çünki bədii ədəbiyyat yaxınlaşmağın ən yaxşı vasitəsidir.

Dostlar, Quram və Batal, almanaxa lazımlı material toplamaq üçün cənubi Qafqazın münaqişəli regionlarına getdilər, müharibə görmüş insanlarla görüşdülər. Bir daha əmin oldular ki ortaq dili tapmağı bacarırlar. Bunu isə çox vaxt adi insanlar daha asant bacarırlar, nəinki siyasətçilər. Bunu sübut etmək üçün Odişaria azərbaycanlı kinorejisordan eşitdiyi bir əhvalatı xatırlayır.

Qarabağda müharibə yeni başlamışdı. İki qonşu kənddə xüsusilə təhlükəli vəziyyət yarandı. Bir kənddə əhalinin əksəriyyəti erməni, ikincisində – azərbaycanlılar idi. Gözlənilən təhlükəyə görə azərbaycanlılar və ermənilər yaranan vəziyyəti ölçüb-biçtilər, məsləhətləşdilər və qərar verdilər ki evlərini dəyişsinslər, bir kənddə yalnız erməni, ikincidə – azərbaycanlılar məskunlaşsınlar. Belə də davrandılar, dəyişəcəkləri evləri əvvəlcədən işarələdilər. Bir gün, siyasətçilərin və hərbciləri məşğul olduğu zaman maşınları, traktorları atları yuklədilər və, faktiki olaraq, evləri yox, kəndləri dəyişdilər.

Bu əhvalatda ən heyrtlədirici o idi ki ev heyvanları yeni məskanlarına asanlıqla alışa bilmədilər. Yarım il ərzində onlar kəndlər arasında gəlib-gedirdilər. İtlər gecə özlərinin evlərini gözetləyirdilər, səhər isə yiyələrinin yanlarına qayıdırdılar. Aydınlanan kimi iki kəndi birləşdirən yolda yalnız ev heyvanları hərəkət edirdilər. Birbirlərinə qoşulmurdular, sanki onlarda razılaşmışdılar.

„Müharibə bizi məğlub etməməlidir, dostluğa və qardaşlığda yox dedizdirməsinə imkan yaratmamalıyıq. Xoşbəxtəm ki mən və mənim dostlarım müharibəyə qalib gəldik“, – Qürur və gələcəyə inamla, Guram Odisharia yazır.

Народная дипломатия

Грузинский писатель Гурам Одишария после конфликта, произошедшего между грузинами и абхазами, переехал жить в Тбилиси, но он не прервал связи с абхазским другом Баталом Кобахия. Они вместе искали путь, который примирил бы два противоборствующих народа. Они решили издать литературно-публицистический альманах, так как художественная литература лучшее средство для сближения народов.

Друзья, Гурам и Батал, чтобы собрать нужный для альманаха материал, объездили конфликтные регионы Южного Кавказа, встретились с людьми, пережившими войну. Они ещё раз убедились, что противостоящие друг другу народы могут найти общий язык. А это лучше получается у простых людей, чем у политиков. В подтверждение этого, Одишария вспоминает один случай, который произошёл с азербайджанским кинорежиссёром.

Война в Карабахе только началась. Особенно опасная обстановка возникла для двух соседних сёл. В одном селе в основном жили армяне, во втором – азербайджанцы. Ввиду ожидаемой опасности азербайджанцы и армяне взвесили созданные обстоятельства, посоветовались и решили обменяться домами: в одном селе поселиться только армяне, в другом – азербайджанцы. Так и поступили, заранее отметили обмениваемые дома. И вот однажды, когда политикам и военным было не до них, жители сёл загрузили машины, тракторы, кони и обменялись, фактически, не домами, а деревьями.

Самое поразительное в этом событии было то, что домашние животные не смогли легко свыкнуться с новым жилищем. В течение полугода они переходили из одного села в другое. Собаки ночью сторожили свои старые дома, а днём возвращались к своим хозяевам. Как только светало, по дороге, связывающей два села, передвигались только домашние животные. Друг друга не трогали – как-будто они тоже договорились.

«Война не должна нас победить, мы не должны дать ей возможности, чтобы она заставила нас отказаться от дружбы и братства. Я счастлив, что я и мои друзья одержали победу над войной», – с гордостью и верой в будущее пишет Гурам Одишария.

Ժողովրդական դիվանագիտություն

Վրաց գրող Գուրամ Օդիշարիան վրացիների և արխագների միջև տեղի ունեցած հակամարտությունից հետո բնակության տեղափոխվեց Թբիլիսի, բայց կապը իր արխագ ընկեր Բաթալ Կոբախիայի հետ չընդհատեց: Նրանք միասին փնտրում էին ճանապարհ, որը կհաշտեցներ երկու հակամարտող ազգերին: Նրանք որոշեցին հրատարակել գրական-հրապարակախոսական ամսանախ, քանզի գեղարվեստական գրականությունը մերձեցման լավագույն միջոցն է:

Գուրամ և Բաթալ ընկերները, ամսանախի համար անհրաժեշտ նյութ հավաքելու համար շրջեցին Հարավային Կովկասի հակամարտող տարածաշրջաններում, հանդիպեցին պատերազմ անցած մարդկանց: Մեկ անգամ ևս համոզվեցին, որ հակամարտող ազգերը նույնպես կարող են գտնել ընդհանուր լեզու: Իսկ դա հաճախ ավելի հեշտությամբ հաջողվում է հասարակ մարդկանց, քան քաղաքագետներին: Որպես ապացույց Օդիշարիան հիշատակում է մի դեպք, որը լսել էր ադրբեջանցի կինոռեժիսորից:

Ղարաբաղում պատերազմը նոր էր սկսվել: Հարևան երկու գյուղերի համար առանձնապես վտանգավոր իրավիճակ էր ստեղծվել: Մի գյուղում բնակչության մեծամասնությունը հայեր էին, մյուսում՝ ադրբեջանցիներ: Մասավող վտանգի պատճառով ադրբեջանցիները և հայերը կշռադատեցին ստեղծված իրավիճակը, խորհրդակցեցին և որոշեցին, որ տները փոխանակեն, մի գյուղում բնակություն հաստատեն միայն հայերը, մյուսում՝ ադրբեջանցիները: Այդպես էլ վարվեցին, նախապես նշեցին փոխանակվող տները: Մի օր էլ, երբ քաղաքագետները և զինվորականները նրանց համար ժամանակ չունեին, բեռնեցին մեքենաները, տրակտորները, ձիերը և, փաստորեն, փոխանակեցին ոչ թե տները, այլ գյուղերը:

Այս պատմության մեջ ամենագարմանալին այն էր, որ ընտանի կենդանիները հեշտությամբ չկարողացան հարմարվել նոր բնակավայրին: Կես տարվա ընթացքում նրանք թափառում էին գյուղերի միջև: Շները գիշերն իրենց նախկին տներն էին հսկում, իսկ ցերեկը վերադառնում էին տերերի մոտ: Լուսանալուն պես երկու գյուղերը կապող ճանապարհին տեղաշարժվում էին միայն ընտանի կենդանիները: Միմյանց չէին նեղում, կարծես նրանք նույնպես պայմանավորվել էին:

«Պատերազմը չի կարող մեզ հաղթել, մենք չպետք է թույլ տանք, որ այն ստիպի մեզ հրաժարվել բարեկամությունից և եղբայրությունից: Երջանիկ եմ, որ ես և իմ ընկերները հաղթեցինք պատերազմը», – հպարտությամբ և ապագայի հանդեպ հավատով գրում է Գուրամ Օդիշարիան:

Մնացո և ԹՄՄԻՆՈՆՏՈՆ

დავალება N2

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას, გაიაზრეთ იგი და წერა მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეთ. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად საფუძვლიანად იქნება დასაბუთებული ესა თუ ის შეხედულება შესაბამისი არგუმენტებით. მსჯელობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ წაკითხული წიგნი, ნანახი ფილმი თუ სპექტაკლი, სხვათა ნაამბობი, საკუთარი გამოცდილება და ა. შ.

რვეულში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომლებიც არ სწორდება. (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

ნაშრომი, რომელიც 150 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, არ გასწორდება!
გისურვებთ წარმატებას!

ყურადღებით გაეცანით მოცემულ დებულებას და იმსჯელეთ, ეთანხმებით თუ არა მას. არ არსებობს წიგნი, რომლისგანაც რაიმეს ვერ ისწავლი.

შავი სამუშაოსთვის

A series of horizontal dashed lines spanning the width of the page, intended for writing or drawing.

შეფასების სქემა

დავალება №1

თარგმნა მშობლიურიდან ქართულ ენაზე (15 ქულა)

სახალხო დიპლომატია (თარგმანის ტექსტი)

ქართველი მწერალი გურამ ოდიშარია ქართველებსა და აფხაზებს შორის მომხდარი კონფლიქტის შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა, მაგრამ აფხაზ მეგობარ ბათალ კობახიასთან კავშირი არ გაუწყვეტია. ისინი ერთად ემებდნენ გზას, რომელიც ორ დაპირისპირებულ ერს შეარიგებდა. მათ გადაწყვიტეს გამოეცათ ლიტერატურულ-პუბლიცისტური ალმანახი, რადგან მხატვრული ლიტერატურა დაახლოების საუკეთესო საშუალებაა.

მეგობრებმა, გურამმა და ბათალმა, ალმანახისათვის საჭირო მასალის შესაგროვებლად სამხრეთ კავკასიის კონფლიქტური რეგიონები შემოიარეს, შეხვდნენ ომგამოვლილ ადამიანებს. კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ დაპირისპირებულ ერებსაც შეუძლიათ საერთო ენის გამონახვა. ამას კი ხშირად უბრალო ადამიანები უფრო ადვილად ახერხებენ, ვიდრე პოლიტიკოსები. ამის დასტურად ოდიშარია იგონებს ერთ ამბავს, რომელიც აზერბაიჯანელი კინორეჟისორისაგან მოისმინა.

ყარაბაღში ომი ახალი დაწყებული იყო. ორ მეზობელ სოფელს განსაკუთრებულად სახიფათო ვითარება შეექმნა. ერთ სოფელში მოსახლეობის უმრავლესობა სომეხი იყო, მეორეში – აზერბაიჯანელი. მოსალოდნელი საშიშროების გამო აზერბაიჯანელებმა და სომეხებმა შექმნილი ვითარება აწონ-დაწონეს, ითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ სახლები გაეცვალათ, ერთ სოფელში მხოლოდ სომეხები დასახლებულიყვნენ, მეორეში – აზერბაიჯანელები. ასეც მოიქცნენ, წინასწარ მონიშნეს გასაცვლელი სახლები. ერთ დღესაც, როცა პოლიტიკოსებსა და სამხედროებს მათთვის არ ეცალათ, დატვირთეს მანქანები, ტრაქტორები, ცხენები და, ფაქტობრივად, სახლები კი არა, სოფლები გაცვალეს.

ყველაზე საოცარი ამ ამბავში ის იყო, რომ შინაური ცხოველები ახალ საცხოვრებელს ადვილად ვერ შეეგუენ. ნახევარი წლის განმავლობაში ისინი სოფლებს შორის მიმოდიოდნენ. ძაღლები ღამით თავიანთ ყოფილ სახლებს სდარაჯობდნენ, დღისით კი პატრონებთან ბრუნდებოდნენ. ინათებდა თუ არა, ორი სოფლის დამაკავშირებელ გზაზე მხოლოდ შინაური ცხოველები მოძრაობდნენ. ერთმანეთს არ ერჩოდნენ, თითქოს ისინიც შეთანხმდნენო.

„ომმა ვერ უნდა დაგვამარცხოს, არ უნდა მივცეთ იმის საშუალება, რომ მეგობრობასა და ძმობაზე უარი გვათქმევინოს. ბედნიერი ვარ, რომ მე და ჩემმა მეგობრებმა ომზე გავიმარჯვეთ“, – სიამაყითა და მომავლის რწმენით წერს გურამ ოდიშარია.

I კრიტერიუმი

№	თარგმანის ადეკვატურობა	ქულები
1	ტექსტი <i>ადეკვატურადაა</i> თარგმნილი, თუმცა <i>ერთ</i> ან <i>ორ</i> შემთხვევაში წინადადება არ არის ზუსტად თარგმნილი.	5
2	ტექსტი <i>მთლიანობაში ადეკვატურადაა</i> თარგმნილი, მაგრამ <i>სამ</i> ან <i>ოთხ</i> შემთხვევაში წინადადება არ არის ზუსტად თარგმნილი.	4
3	ტექსტი <i>მთლიანობაში ადეკვატურადაა</i> თარგმნილი, მაგრამ <i>ხუთ</i> ან <i>ექვს</i> შემთხვევაში წინადადება არ არის ზუსტად თარგმნილი.	3
4	ტექსტის <i>ძირითადი შინაარსი</i> გადმოტანილია, თუმცა გვხვდება გაუმართავი ან გამოტოვებული ადგილები.	2
5	ტექსტის მხოლოდ <i>მცირე ნაწილია</i> ადეკვატურად თარგმნილი.	1

6	დავალება არაადეკვატურადაა შესრულებული.	0 (ნაწერი აღარ სწორდება)
---	--	--------------------------

II კრიტერიუმი

N ^o	ტექსტის ორგანიზება	ქულები
1	ტექსტი ორგანიზებულია.	1
2	ტექსტი ორგანიზებული არ არის.	0

III კრიტერიუმი

N ^o	ლექსიკა და სტილი	ქულები
1	ტექსტი სტილისტურად გამართულია, თუმცა გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი ან არაადეკვატური ლექსიკის გამოყენების შემთხვევა.	3
2	ტექსტი სტილისტურად ძირითადად გამართულია. არ გვხვდება ოთხზე მეტი სტილისტური ხარვეზი და არაადეკვატური ლექსიკის გამოყენების შემთხვევა.	2
3	ტექსტი სტილისტურად ძირითადად გამართულია. არ გვხვდება ექვსზე მეტი სტილისტური ხარვეზი და არაადეკვატური ლექსიკის გამოყენების შემთხვევა.	1
4	ტექსტი ლექსიკურად და სტილისტურად გაუმართავია.	0

IV კრიტერიუმი

N ^o	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	ქულები
1	არ არის დაშვებული 4-ზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	4
2	არ არის დაშვებული 6-ზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	3
3	არ არის დაშვებული 8-ზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	2
4	არ არის დაშვებული 10-ზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	1
5	დაშვებულია 10-ზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	0

V კრიტერიუმი

N ^o	პუნქტუაცია	ქულები
1	არ არის დაშვებული 4-ზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	2
2	არ არის დაშვებული 6-ზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	1
3	დაშვებულია 6-ზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	0

დავალება №2

წერითი დავალების (ესეს) შეფასების კრიტერიუმები

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 15. ნაშრომი, რომელიც დავალებას არ უპასუხებს ან ენობრივად იმდენად გაუმართავი იქნება, რომ აზრის გაგება გაჭირდება, ანდა 150 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, არ გასწორდება.

I კრიტერიუმი

№	დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება	ქულები
1	დავალება ადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული.	1
2	დავალება არაადეკვატურადაა გაგებული.	0 (არ სწორდება)

II კრიტერიუმი

№	ნაშრომის აგება და ორგანიზება	ქულები
1	ნაშრომი კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აზრები სწორადაა გამოყოფილი.	1
2	ნაშრომში დარღვეულია ტექსტის ლოგიკა და/ან არ არის ორგანიზებული.	0

III კრიტერიუმი

№	მსჯელობის დასაბუთება	ქულები
1	მსჯელობა დამაჯერებლადაა დასაბუთებული და არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით.	3
2	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან მოხმობილი მაგალითები არაადეკვატურია.	2
3	მსჯელობა ზერელადაა დასაბუთებული, ხშირ შემთხვევაში არგუმენტები არადამაჯერებელია.	1
4	მსჯელობა დასაბუთებული არ არის.	0

IV კრიტერიუმი

№	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ქულები
1	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და ზოგადი განათლება.	2

2	ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა მისი ზოგადი განათლება ანდა ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა ზოგადი განათლება.	1
3	ნაშრომში <i>არ</i> გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და ზოგა-დი განათლება.	0

V კრიტერიუმი

<i>N^o</i>	<i>ლექსიკა და სტილი</i>	<i>ქულები</i>
1	ტექსტი სტილისტურად <i>გამართულია</i> , არ გვხვდება <i>ორზე მეტი</i> სტილისტური ხარვეზი და არაადეკვატური ლექსიკის გამოყენების შემთხვევა.	3
2	ტექსტი სტილისტურად <i>ძირითადად გამართულია</i> , არ გვხვდება <i>ოთხზე მეტი</i> სტილისტური ხარვეზი და არაადეკვატური ლექსიკის გამოყენების შემთხვევა.	2
3	ტექსტში <i>აზრი ძირითადად გასაგებია</i> , არ გვხვდება <i>ექვსზე მეტი</i> სტილისტური ხარვეზი და არაადეკვატური ლექსიკის გამოყენების შემთხვევა.	1
4	ტექსტი ლექსიკურად და სტილისტურად <i>გაუმართავია</i> .	0

VI კრიტერიუმი

<i>N^o</i>	<i>მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი</i>	<i>ქულები</i>
1	<i>არ არის</i> დაშვებული <i>4-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	3
2	<i>არ არის</i> დაშვებული <i>6-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	2
3	<i>არ არის</i> დაშვებული <i>8-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	1
4	დაშვებულია <i>8-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

<i>N^o</i>	<i>პუნქტუაცია</i>	<i>ქულები</i>
1	<i>არ არის</i> დაშვებული <i>4-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	2
2	<i>არ არის</i> დაშვებული <i>6-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	1
3	დაშვებულია <i>6-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	0